ბათუმის რაიონული სასამართლოს
მოსამართლეს ქალბატონ ხ. ბ.-ს
მოსარჩელეების - **ა(ა)იპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა“, კ. კ.-ის, ბ. ი.-ს და თ.ხ.ს**
სარჩელთან დაკავშირებით
საქმე N 2-540/15

სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციის 43–ე მუხლის მეორე პუნქტის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–12 მუხლისა და 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად

ქალბატონო ,

2014 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის - EMC დირექტორმა, თ. მ.-მ და სახალხო დამცველს სთხოვა სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩართვა ზემოთმითითებულ სამოქალაქო საქმეში.

მათ მიერ წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ მოსარჩელე „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ თავმჯდომარეს რ.კ.-სა და შპს „M&B“-ის დირექტორს მ. ბ.-ს შორის 2014 წლის პირველ აგვისტოს 1 წლის ვადით დაიდო უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N13, გადაეცა მოიჯარეს. მოსარჩელე გეგმავდა შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობას.

სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ქალაქ ქობულეთის მოსახლეობამ, რომელიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებს, მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელშეშლის მოტივით, პანსიონთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი შენობის კარზე

მიაჭედეს. ღორი ისლამში უწმინდურ ცხოველს წარმოადგენს და მისი გამოყენება მუსლიმი მორწმუნეების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას ისახავდა მიზნად. სავარაუდოდ შეკრების მონაწილეების მიზანი ღორის დაკვლით პანსიონის ადგილის წაბილწვა და ამ გზით მუსლიმების მიერ პანსიონის, როგორც უწმინდური ადგილის მიტოვება იყო. შეკრების მონაწილეები საკუთარ განცხადებებში და ქცევაში ღიად ავლენდნენ ისლამოფობიურ და თურქოფობიურ დამოკიდებულებებს და დემონსტრაციულად გამოხატავდნენ სიძულვილს ისლამის, როგორც დამპყრობელი რელიგიის მიმართ.

მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ შეკრების მონაწილეები აკონტროლებდნენ პანსიონის შენობაში გადაადგილების პროცესს. ამასთან, 15 სექტემბერს პანსიონის შესასვლელთან აღმართეს ხელოვნური ბარიკადები, ადგილზე მუდმივად მორიგეობდნენ და სისტემატურად უზღუდავდნენ პანსიონში შესვლის მსურველებს გადაადგილების თავისუფლებას, რასაც იძულებით, მუქარითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით ახორციელებდნენ.

ამას გარდა, სარჩელში აღნიშნულია, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს აქვთ ფამილიარული დამოკიდებულება მოპასუხეებთან, არ მოახდინეს ხელოვნური ბარიერების დემონტაჟი და არანაირი რეაგირება არ განახორციელეს გამოვლენილ სამართალდარღვევებზე.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის პირველი პუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი. ვინაიდან, სასარჩელო მოთხოვნა არის დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და იგი მხოლოდ და მხოლოდ ახდენს იმ სტანდარტის

იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით მსგავს საქმეებზე.

1. **სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება**

საქართველოს კონსტიტუციის 43–ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით:

„სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:

„დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად:

„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში."

2. **რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შუქზე**

სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ისმება ორი სამართლებრივი პრობლემა, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს, კერძოდ, ადგილი ჰქონდა თუ არა, ერთი მხრივ, კერძო პირთა და მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციის ჩადენას რელიგიის ნიშნით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ

კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“[1]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1;

საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[2]

ევროპულმა სასამართლომ ასევე არაერთგზის აღნიშნა, რომ ძალადობრივი ქმედებების უკან მდგარი დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენა კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებაა. აღნიშნული ეხება იმ საქმეებსაც, სადაც ძალადობრივ ქმედებებს ადგილი აქვს კერძო პირების მხრიდან.[3] რელიგიურად მოტივირებული ძალადობისა და სისასტიკის თანაბარი საფუძვლით განხილვა იმ საქმეებთან ერთად, რომლებშიც მსგავსი არაფერია მოყვანილი, იმ ქმედებების განსაკუთრებულ ხასიათზე თვალის დახუჭვა იქნებოდა, რომლებიც ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ფუნდამენტურ უფლებებს.[4] არსებითად განსხვავებულ სიტუაციებზე განსხვავებული მეთოდების გამოუყენებლობა

[2] Eweida and others v. United Kingdom, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § § 87-88; Burden v. United Kingdom, application no: 13378/05, 29/04/2008, § 60;

[3] Nachova and others v. Bulgaria, Application nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005 § 161; 97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 others v. Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, §§ 138-42; Begheluri and others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, §173

[4] Begheluri and others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, §173

შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ, გაუმართლებელ მოპყრობას.[5]

2.1. კანონით გათვალისწინებული სავარაუდო უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც შეიძლება ხელი შეშლოდათ მოსარჩელეებს

მოსარჩელეების მითითებით, მათ ჰქონდათ იჯარით აღებული ფართი, სადაც ისინი გეგმავდნენ მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას. აღნიშნული მიზნად ისახავდა აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობას. მოსწავლეები განათლებას საჯარო სკოლაში იღებდნენ. პანსიონში მათ 1,5 საათის განმავლობაში უნდა ესწავლათ რელიგია, დანარჩენი დრო კი საშინაო დავალებების მომზადებასა და სხვადასხვა სააღმზრდელო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის უნდა დაეთმოთ.

მოსარჩელეთა მითითებით, პანსიონის გახსნა შეუძლებელი აღმოჩნდა მოპასუხე ფიზიკურ პირთა მიერ გამართული საპროტესტო აქციების, ხელშეშლისა და სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლოს გამო.

კანონით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც სავარაუდოდ შეიძლება ხელი შეშლოდათ მოსარჩელეებს, უკავშირდება სულ მცირე რელიგიისა და საკუთრებით სარგებლობის თავისუფლებას.

რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის ხელშეშლა

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება აზრის,

[5] Milanović v. Serbia, Application no. 44614/07, 14/12/2010, §§ 96-97; P.F. and E.F. v. the United Kingdom (dec.), Application no. 28326/09, 23/11/2010, § 56;

სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

იმავეს იმეორებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 პუხლის პირველი პუნქტი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი იცავს როგორც უფლებას გწამდეს, ასევე რელიგიის გამოხატვის უფლებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად, აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.[6] ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დაღვევად მიიჩნია საბერძნეთში იეღოვას მოწმეებისთვის რელიგიური რიტუალებისთვის განკუთვნილი შენობის გახსნის აკრძალვა.[7] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების უფლება დაარსონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ან/და ასწავლონ თავისი რელიგია არის კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლება.[8]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული სავარაუდო უფლება, რომლის სარგებლობაშიც შეიძლება ხელი შეშლოდათ მოსარჩელეებს, უკავშირდება მოსარჩელეთა უფლებას გამოეხატათ საკუთარი რელიგია სწავლებით.

აღნიშნული ასევე მჭიდრო კავშირშია განათლების მიღების უფლებასა და მშობელთა უფლებასთან ბავშვებმა მიიღონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.[9]

საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლა

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი **საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება.** საქმეში, საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,

[6] Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, applicarion. no. 45701/99, 27/03/2002, § 114

[7] Manoussakis v. Greece, application. no. 18748/91, 26/09/1996, § 53

[8] Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, application. no. 302/02, 10/06/2010, § 102;

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ეს მუხლი იცავს არა მხოლოდ მესაკუთრეს, არამედ ასევე მფლობელსაც; მაშინაც კი, როდესაც შენობა-ნაგებობა საკუთრება არ არის და მხოლოდ სარგებლობაშია. სასამართლოს განმარტებით, მფლობელობის კონცეფცია არ იზღუდება მხოლოდ არსებული მფლობელობით, არამედ იგი ასევე მოიცავს, სხვა საშუალებებს რომელიც დაკავშირებულია განმცხადებლის შესაძლებლობასთან იდავოს, რომ მას აქვს საკუთრების უფლებით ეფექტურად სარგებლობის სულ ცოტა გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი.[10]

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეებს ხელი შეეშალათ ესარგებლათ საკუთრების უფლებით და დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ მათ მფლობელობაში არსებული ქონება.

2.2. განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის შესაბამისად, პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ ძალადობრივი ქმედებების უკან მდგარი დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენა კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებაა. აღნიშნული ეხება იმ საქმეებსაც, სადაც ძალადობრივ ქმედებებს ადგილი აქვს კერძო პირების მხრიდან.[11] რელიგიურად მოტივირებული ძალადობისა და სისასტიკის თანაბარი საფუძვლით განხილვა იმ საქმეებთან ერთად, რომლებშიც მსგავსი არაფერია

[10] Saghinadze and Others v. Georgia, Application no. 18768/05, 27/08/2010, § 103;

[11] Nachova and others v. Bulgaria, Application nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005 § 161; 97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 others v. Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, §§ 138-42; Begheluri and others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, §173

მოყვანილი, იმ ქმედებების განსაკუთრებულ ხასიათზე თვალის დახუჭვა იქნებოდა, რომლებიც ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ფუნდამენტურ უფლებებს.[12] არსებითად განსხვავებულ სიტუაციებზე განსხვავებული მეთოდების გამოუყენებლობა შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ, გაუმართლებელ მოპყრობას.[13]

ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, როდესაც ძალადობრივი ქმედებები არის მოტივირებული უშუალოდ რელიგიური ნიშნით, ამ შემთხვევაში სასამართლო არ სთხოვს მხარეს ჰიპოთეთურად ამტკიცოს, რომ იგივე სახის ქმედებები სხვა ჯგუფის მიმართ არ განხორციელდებოდა. მხარემ უნდა აჩვენოს, რომ ქმედება რელიგიური ნიშნით იყო მოტივირებული, ხოლო სახელმწიფოს (მოპასუხეს) ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი რომ სადავოდ გახდილი ქმედებები რელიგიური მოტივით არ იყო ჩადენილი.[14]

ამ შემთხვევაში, სასამართლომ სწორედ მოპასუხე ფიზიკურ პირებს უნდა დააკისროს მტკიცების ტვირთი, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ჩადენილი არ იყო მოსარჩელეთა სარწმუნოების გამო.

მნიშვნელოვანი იქნება, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოპასუხე ფიზიკური პირების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებების რელიგიურ მოტივირებულებას. ამ მხრივ მხედველობაში მიიღოს მათ მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები, პროტესტის შინაარსი, აქციის დროს ჩატარებული რელიგიური რიტუალები, ასევე თავად ღორის, როგორც მუსლიმთათვის უწმინდური ცხოველის დაკვლის და შენობაზე მისი თავის მიჭედების ფაქტი.

სასამართლომ ასევე უნდა დააკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამტკიცოს, რომ მათ მიერ ყველა ღონე იქნა მიღებული იმისათვის, რომ მომჩივანთა რელიგიის და საკუთრების უფლება უზრუნველყოფილი ყოფილიყო დისკრიმინაციის გარეშე.

---

[12] Begheluri and others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, §173

[13] Milanović v. Serbia, Application no. 44614/07, 14/12/2010, §§ 96-97; P.F. and E.F. v. the United Kingdom (dec.), Application no. 28326/09, 23/11/2010, § 56;

[14]97 Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, §§ 140-141; Begheluri and 4 others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, §§ 173-179

2.3. დისკრიმინაციის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობის და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საკითხი

მოპასუხე ფიზიკური პირების შემთხვევაში

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არათანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად თუ ის ემსახურება **საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად** კანონით განსაზღვრულ მიზანს.

თუ მოპასუხეები მიუთითებენ, რომ პანსიონის პარალიზება მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის თუ სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, მათ კონკრეტულად უნდა ამტკიცონ, როგორ დაარღვევს პანსიონის მოქმედება საზოგადოებრივ წესრიგს და როგორ შელახავს ზნეობას.

ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არის ნებადართული რელიგიის სახელით ძალადობრივი ქმედებების განხორციელება სხვაზე საკუთარი რელიგიური რწმენის წინ წამოწევის მიზნით[15].

ევროპულმა სასამართლომ, სხვადასხვა უფლებებთან მიმართებაში, არაერთგზის მიიჩნია გაუმართლებლად, საზოგადოების ზნეობრივი ნორმების თუ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული შეზღუდვა თუ განსხვავებული მოპყრობა.

ერთ-ერთ საქმეში, რუსეთის სახელმწიფო აპელირებდა, რომ მომჩივანთათვის თავისი რელიგიის სწავლების უფლების შეზღუდვა გამართლებული იყო, რადგან მოსარჩელე ორგანიზაცია მავნე ზეგავლენას ახდენდა ადამიანების ცნობიერებაზე და უარყოფითად განაწყობდა ხალხს სხვა რელიგიების მიმართ. სასამართლომ აღნიშნულიც არაპროპორციულად მიიჩნია, რადგან უმცირესობა თავისი რელიგიის სწავლებით ვერ შეძლებს მასშტაბური მავნე ზეგავლენა მოახდინოს

[15]97 Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, § 132;

უმრავლესობაზე.[16] ევროპულმა სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია მოლდოვის სახელმწიფოს მითითება, იმის შესახებ რომ მან ეკლესიის რეგისტრაციაზე უარი განაცხადა იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი წესრიგი და მორწმუნეთა შორის სოციალური მშვიდობა უზრუნველეყო.[17]

სასამართლომ, განსახილველ საქმეში უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მოპასუხე ფიზიკურ პირთა მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა რელიგიური ნიშნით მოტივირებული ქმედებების ჩადენას. გამართლებული იყო თუ არა აღნიშნული ქმედებები და ისახავდა თუ არა იგი მიზნად წესრიგისა და ზნეობის დაცვას.

მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რადგან რწმენის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს, რადგან პლურალიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. თავისუფლება მოითხოვს სხვადასხვა რწმენის მიმდევართა ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობის გარანტირებას, რაც რწმენის თავისუფლების **თითოეულ სუბიექტს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი თავისუფლება შეზღუდოს სხვათა ასეთივე თავისუფლებით** - ეს არის რწმენის ფუნდამენტური თავისუფლების თანმდევი ვალდებულება.[18] თუ არ არსებობს გარანტიები რწმენის შესაბამისად ცხოვრების წესის წარმართვისა და განვითარებისათვის, აზრი ეკარგება საერთოდ ამ უფლების აღიარებას.[19]

საკონსტიტუციო სასამართლომ რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით ასევე განმარტა, რომ **უმრავლესობის ინტერესები ყოველთვის ან ძირითადად უპირატესი ვერ იქნება. დემოკრატია ეყრდნობა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის**

[16] Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, Application. no. 302/02, 10/06/2010, § 112; Kimilya and others v. Russia, Application nos. 76836/01 and 32782/03, 01/03/2010, § 86;

[17] Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, Application. no. 45701/99, 27/03/2002, § 114

[18] 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 7;

[19] 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13;

გონივრული ბალანსის არსებობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს სამართლიან მიდგომას უმცირესობების წარმომადგენლობისადმი.[20] ეს თავისუფლება, როგორც მინიმუმ, მოითხოვს სხვადასხვა რწმენის მიმდევართა ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობის გარანტირებას.[21]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა მოარგოს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს[22], რათა ნეიტრალურად და მიუკერძოებლად დაიცვას მორწმუნეთა შორის სოციალური მშვიდობა და ურთიერთგაგება. სწორედ ნეიტრალიტეტზე და მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულობა და პლურალიზმი.[23] სახელმწიფოს როლი ის კი არ არის, რომ პლურალიზმის გაუქმებით აღმოფხვრას სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაძაბულობის მიზეზი, არამედ ხელი შეუწყოს, რომ ამ ჯგუფებმა ერთად თანაცხოვრება შეძლონ.[24] სახელმწიფოს აღნიშნული როლი ხელს უწყობს დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო წესრიგის, რელიგიური მშვიდობისა და ტოლერანტული გარემოს შექმნას და არ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც რწმენის ან იმ რელიგიის როლის დამაკნინებელი, რომელთანაც ამ სახელმწიფოს მოსახლეობა ისტორიულად და კულტურულად ასოცირდება.[25] სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს ბალანსს, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უმცირესობების მიმართ სამართლიანი მოპყრობა და თავიდან აიცილებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას.[26]

ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ხელისუფლებამ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს იმ ფაქტებზე, რაც რელიგიური უმცირესობის დაცვას უკავშირდება და მათ წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში ადეკვატური გამოძიება ჩაატარონ და მიიღონ ნეიტრალური გადაწყვეტილება ყველა იმ

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი N 1/1/477 გადაწყვეტილება II 3.43

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერის N 1/1/477 გადაწყვეტილება II 3.7

[22] Kokkinakis v. Greece, Application no. 14307/88, 25/05/1993, § 33;

[23] Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, Application no. 45701/99, §§ 115-16;

[24] Serif v. Greece, Application no: 38178/97, 14/12/1999, § 53;

[25] Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, § 132; Begeluri and Others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, § 158.

[26] Young, James and Webster v. United Kingdom, Application nos. 7601/76, 7806/77, 13/08/1981, § 63

ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა რელიგიური შეუწყნარებლობა ედოს საფუძვლად.[27]

სასამართლო განმარტავს, რომ რასობრივი ნიშნით მოტივირებული დანაშაულების მსგავსად, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი პასუხისმგებლობა, რომ გამოააშკარავოს რელიგიური მოტივი და დაადგინოს იყო თუ არა ძალადობრივ ქმედებები რელიგიურ შეუწყნარებლობითა და სტერეოტიპებით პროვოცირებული.[28]

გლდანის კონგრეგაციის იეჰოვას 97 მოწმე და სხვათა საქმეში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მომჩივანთა წინააღმდეგ განხორციელებული არასათანადო და ძალადობრივი ქმედებებისა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინეს უმოქმედობა. მათ მომჩივანთა კონკრეტული რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანობისთვის საშიშად აღიქმებოდა, რეაგირება არ მოახდინეს მომჩივანთა საჩივრებზე. სახელმწიფო ორგანოებმა საკუთარი უმოქმედობით არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულება მიეღოთ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, რომ ექსტრემისტ მართლმადიდებელთა ჯგუფს, რომელსაც მამა ბასილი ხელძღვანელობდა, მოეთმინა მომჩივანთა რელიგიური გაერთიანების არსებობა და საშუალება მიეცა მათთვის თავისუფლად ესარგებლათ რელიგიის თავისუფლებით.[29]

ბეღელურის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა გამოიჩინეს აბსოლიტური ინდიფერენტულობა მომჩივანთა წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ქმედებებთან დაკავშირებით. არსებობდა სისტემატური პრაქტიკა, რომ საქართველოს მთავრობა შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენდა იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ქმედებების მიმართ. აღნიშნული კი საზოგადოებას უჩენს ეჭვს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები კრიმინალების თანამონაწილეები არიან.[30]

---

[27] Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, §§ 138-142

[28] Begeluri and Others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, § 141;

[29] 97 Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia, Application no. 71156/01, 03/08/2007, §§ 133-134

[30] Begeluri and Others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, §§ 174 და 178

ევროპული სასამართლოს მითითებით, სახელმწიფოში რელიგიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულებისა და ძალადობის ფაქტების დაუსჯელობა იწვევს მოძალადეთა წახალისებას, რომ მარგინალიზებული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები განახორციელონ.[31]

ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სახელმწიფოების ვალდებულებას და როლს, რომ უზრუნველყონ რელიგიის თავისუფლება დისკრიმინაციის გარეშე, ცალსახად ხაზს უსვამს.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად შეასრულა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასზე დაკისრებული ვალდებულება უზრუნველეყო მოსარჩელეთა რელიგიის თავისუფლება დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ რამდენად სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინა მან და განახორციელა თუ არა მის ხელთ არსებული ყველა ზომა მოსარჩელეთა უფლებების დასაცავად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოსამართლეს უნდა აჩვენონ და რომ მათ შეეზღუდათ რელიგიისა და საკუთრებით სარგებლობის უფლება რელიგიური მოტივით; დისკრიმინაციული ნიშნით მომხდარი ინციდენტები თავისთავად წარმოადგენს არსებითად განსხვავებულ შემთხვევას, რომელსაც განსხვავებული მოპყრობა სჭირდება, შესაბამისად დამატებით აღარ არის საჭირო კომპარატორის მოძიება. მოპასუხე კერძო პირმა უნდა ამტკიცოს რომ მისი მოქმედებები არ იყო განპირობებული რელიგიური მოტივებით, ხოლო თუ რელიგიური მოტივით იყო განპირობებული, იგი კანონიერ მიზანს ისახავდა და იყო პროპორციული; ხოლო მოპასუხე სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს რომ მან შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულებები, ყველა ღონე იხმარა ინციდენტის თავიდან ასაცილებლად და შემდეგ მის აღსაკვეთად.

გამომდინარე იქედან, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სავალდებულო ძალის მატარებელია საქართველოს

[31] Begeluri and Others v. Georgia, Application no. 28490/02, 07/01/2015, § 145.

სახელმწიფოსთვის, სასამართლომ სამართალშეფარდება უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული პრინციპებისა და სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი რეგულაციების დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დისკრიმინაციის გარეშე უფლებების რეალიზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–12 მუხლით, 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.